http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/userreport.cgi?mid=19&yid=v1937

“დინამო” (თბილისი) - ცდკა - 1:0 (0:0)

18 ოქტომბერი. თბილისი. სტადიონი “დინამო”. 25 000 მაყურებელი.

მსაჯი: ვ. ბისტროვი (ლენინგრადი).

გოლი: 1-0 სომოვი (65).

თბილისის “დინამო”: ა. დოროხოვი, შ. შავგულიძე (გუნდის კაპიტანი), ჭუმბურიძე, ვ. ჯორბენაძე, ფროლოვი, კიკნაძე, თ. გავაშელი, მ. ბერძენიშვილი, ბ. პაიჭაძე, ვ. ბერძენი-შვილი, სომოვი.

ცდკა: ლეონოვი, ლიასკოვსკი, სავიცკი, ზენკინი, მალინინი, ნიკიშინი, კირეევი, ვინოგრა-დოვი, კოჩეტკოვი, ორეხოვი, შლიჩკოვი.

დაამატა: **ერლან მანაშევმა**

“დინამოს” სტადიონზე

18 ოქტომბერს “დინამოს” სტადიონზე გაიმართა ფეხბურთის მორიგი კალენდარული მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ მოსკოვის წითელი არმიის ცენტრალური სახლისა (“ცდკა”) და თბილისის “დინამოს” ოსტატთა გუნდები.

შესვენების დროს გაიმართა რადიომიტინგი. სტადიონზე შეკრებილ 30 ათას კაცს სიტყვით მიმართა საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. გ. სტურუამ. მისი სიტყვა მიძღვნილი იყო უზენაესი საბჭოს არჩევნებისა და ოქტომბრის დიადი სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისადმი.

– ოქტომბრის რევოლუციის ოც წლისთავს, – სთქვა ამხ. სტურუამ, – საბჭოთა ქვეყნის მშრომელნი ხვდებიან სტალინური კონსტიტუციით. კაცობრიობის საუკეთესო შვილები საუკუნოებით ოცნებობდნენ ნამდვილი და სრული დემოკრატიის მიღწევაზე, მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით გახდა შესაძლებელი ნამდვილი დემოკრატიზმის განხორციელება. მხოლოდ პროლეტარული რევოლუციის პირობებშია შესაძლებელი მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის აყვავება.

უდიდესი მიღწევებით ხვდება ჩვენი ქვეყანა პროლეტარიულ დღესასწაულს. ამ მიღწევების დროშით მივდივართ ჩვენ საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებზე. უნდა ავირჩიოთ ყველაზე პატიოსანი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგული, კომუნიზმისათვის თავდადებული მუშაკები.

გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას და მის გენიალურ შემოქმედს – დიდ სტალინს!

მშრომელთა საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის სახელის ხსენება მქუხარე ოვაციას იწვევს ტრიბუნებზე. ყველანი ფეხზე დგებიან და აღფრთოვანებით ესალმებიან იმას, ვინც მშრომელთათვის საამური, შეძლებული ცხოვრება გამოჭედა.

თბილისის “დინამო” და მოსკოვის “ცდკა” არაერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს. ყველა ეს შეხვედრა თბილისელების გამარჯვებით თავდებოდა. ამ დღესაც ბევრი იოლ გამარჯვებას ელოდა.

თამაშის პირველ წუთებშივე ნათელი გახდა, რომ მოსკოველებს გადაწყვეტილი ჰქონდათ რევანშის აღება. ისინი არათუ კარგად იცავდნენ თავს თბილისელების სწრაფი იერიშებისაგან, არამედ ხშირად ძლიერ შეტევასაც ავითარებდნენ და სახიფათო მდგომარეობაში აყენებდნენ თბილისის კარს.

მეხუთე წუთზე სტუმრების მარჯვენა გარემარბმა კირეევმა შურდულივით გაიტაცა ბურთი, გადასცა ცენტრში მარჯვენა ინსაიდს ეგოროვს, ამ უკანასკნელმა კი საშინელი სიძლიერით დაარტყა გოლში, მაგრამ შტანგამ იხსნა თბილისელები მარცხისაგან.

მე-18 წუთზე დოროხოვმა დაიჭირა მარცხენა ინსაიდის ორეხოვის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი. რომ შავგულიძის სისწრაფე და მოქნილობა არა (მან ფეხიდან ააცალა დოროხოვის მიერ გამოგდებული ბურთი მოსკოველ თავდამსხმელს), ეს მომენტი “დინამოს” მარცხით დამთავრდებოდა.

ტაიმის ბოლოს დოროხოვმა კიდევ ერთი საშიში ბურთი დაიჭირა და თამაშის პირველი განყოფილება დამთავრდა 0:0.

მეორე ტაიმი დინამოელებმა უფრო ძლიერად ჩაატარეს. უკვე დასაწყისიდანვე აშკარა გახდა მათი უპირატესობა. ყველაზე მეტ აქტივობას იჩენს ნ. სომოვი. მეოცე წუთზე მან მოხერხებულად გამოიყენა ბ. პაიჭაძის მიერ მოწოდებული ბურთი და თავით შეაგდო მოსკოველების კარში.

გუნდების შემდგომ ბრძოლას შედეგი აღარ გამოუღია და შეჯიბრება დამთავრდა თბილისის დინამოს" გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

ეს "ცდკა"-ს მეათე დამარცხებაა საკავშირო პირველობის გათამაშების კალენდარში. თბილისელებს ამ მატჩის შემდეგ 29 ქულა აქვთ, დარჩათ კიდევ ორი შეჯიბრება ლენინგრადის "კრასნაია ზარიასთან" და მოსკოვის "ლოკომოტივთან".

"კრასნაია ზარია" თბილისში თამაშობს 24 ოქტომბერს, ხოლო "ლოკომოტივი" – 30 ოქტომბერს.

"კომუნისტი", 20 ოქტომბერი 1937 წ.